საქართველოს
სახალხო დამცველი
PUBLIC DEFENDER (OMBUDSMAN)
OF GEORGIA

დავით აღმაშენებლის გამზირი **N80**
0102 თბილისი, საქართველო
ცხელი ხაზი:**1481(24/7)**
www.ombudsman.ge
ელ-ფოსტა: **info@ombudsman.ge**

26 დეკ 2024 წ.

KA000023850183524

№ **2024/7698**

საქართველოს იუსტიციის მინისტრს

ბატონ ანრი ოხანაშვილს

წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ა

სპეციალური პენიტენციური დაწესებულებების ტერიტორიაზე კერძო საწარმოში დასაქმებული მსჯავრდებულების/ბრალდებულების შრომითი უფლებების დაცვის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ

შემუშავებულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული შემოწმების შედეგების მიხედვით და გეგზავნებათ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21–ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

ბატონო ანრი,

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა სპეციალური პენიტენციური სამსახურის N2 პენიტენციურ დაწესებულებაში განთავსებული მსჯავრდებულის ,ანცხადებები[1] - სპეციალური პენიტენციური სამსახურის N2 დაწესებულების ტერიტორიაზე კერძო სახარმოში დასაქმების პერიოდში მისი შრომითი უფლებების დარღვევასთან დაკავშირებით და გამოავლინა პენიტენციური დაწესებულების ტერიტორიაზე მოქმედ კერძო საწარმოში/საწარმოებში დასაქმებულ მსჯავრდებულთა/ ბრალდებულთა შრომითი უფლებების დაცვის მიზნით სპეციალური პენიტენციური სამსახურის მხრიდან დამატებითი ღონისძიებების განხორციელების საჭიროება.

ფაქტობრივი გარემოებები:

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში წარმოდგენილ საჩივრებში/განცხადებებში, მიუთითებდა, რომ მისი დამსაქმებელი შპს „ილი ჯგუფი“, რომელიც საკვები მომსახურების მიწოდებას ახორციელებს N2 პენიტენციურ დაწესებულებაში სისტემატიურად არღვევდა მის შრომით უფლებებს. დასაქმებული ვერ სარგებლობდა შესვენების და დასვენების უფლებით, უწევდა ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულება დასვენების და უქმე დღეებში. კვირაში ერთხელ 24 საათის განმავლობაშიც არ ეძლეოდა დასვენების უფლება. ვერ სარგებლობდა ანაზღაურებადი შვებულებით.

სსიპ შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ მსჯავრდებულის საჩივრის საფუძველზე ჩატარებული ინსპექტირების შედეგად შპს „ილი ჯგუფის“ მხრიდან მსჯავრდებულის შრომითი უფლებების დარღვევა არაერთი მიმართულებით გამოვლინდა: ათან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებაში არ იყო მითითებული შესასრულებელი სამუშაოს სახე ან აღწერილობა, რაც დამსაქმებელს აძლევდა უფლებას შრომის კოდექსის საწინააღმდეგოდ დასაქმებულისთვის ხელშეკრულებისგან განსხვავებული სამუშაო დაევალებინა. ინსპექტირების ფარგლებში ასევე დადგინდა რომ იზღუდებოდა დასაქმებულის შესვენების უფლება და დამსაქმებლის მიერ არ იყო უზრუნველყოფილი შესვენების და დასვენების უფლება (მათ შორის 7-დღიანი პერიოდის განმავლობაში არანაკლებს 24 საათისა). დადგინდა, რომ

დამსაქმებელი სამუშაო დროს სრულყოფილად არ აღრიცხავდა და არ აცნობდა დასაქმებულს სამუშაო საათების აღრიცხვის შესახებ ინფორმაციას. [illegible] არ აუნაზღაურდა (24 დღიანი ანაზღაურებადი) შვებულება და სურვილის მიუხედავად ვერ ისარგებლა ამ უფლებით.[2] ასევე, საქართველოს სახალხო დამცველმა საქმის მოკვლევის შედეგად დაადგინა, რომ შპს „ილი ჯგუფმა“ [illegible] შრომის კოდექსის მოთხოვნათა დარღვევით, არაერთხელ გააფორმა მოკლე ვადიანი და ხაკლები სოციალური გარანტიების მქონე ხელშეკრულება, რის შედეგადაც მსჯავრდებული შრომით ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო უკანონოდ გათავისუფლდა სამსახურიდან.[3]

გარდა ზემოაღნიშნულისა, შპს „ილი ჯგუფის“ მხრიდან დასაქმებულ ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა შრომითი უფლებების შესაძლო დარღვევის გამოსავლენად, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა სსიპ შრომის ინსპექციის სამსახურს 2024 წლის 9 თებერვალს N04-5/1516 წერილით მიმართა და კომპანიის სრული ინსპექტირების ჩატარება ითხოვა. ინსპექტირების შედეგად გამოვლინდა არაერთი დარღვევა, მათ შორის დასაქმებულთა სამუშაო საათების არასათანადო აღრიცხვა, დასაქმებულთა შესვენების დროით სარგებლობის უფლების კანონშეუსაბამო შეზღუდვა, 7 დღიანი პერიოდის განმავლობაში 24 საათი დასვენებით სარგებლობის უფლების შეზღუდვა, ზეგანაკვეთურად შესასრულებელი სამუშაოს ანაზღაურებასთან დაკავშირებული პრობლემები და სხვა, რის შედეგადაც კომპანიის მიმართ 2024 წლის 13 მაისს შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი N009077 და N009077/ო მითითებით დარღვევების აღმოსაფრთხველად განესაზღვრა 30 დღე.[4]

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში წარმოდგენილ განცხადებებში აღნიშნავდა, ოომ N2 პენიტენციურ დაწესებულების ტერიტორიაზე კვების ობიექტზე დასაქმებულ პირთა შრომითი უფლებების დარღვევის შესახებ ცნობილი იყო პენიტენციური დაწესებულებისთვის, თუმცა აღნიშნულის აღმოსაფხვრელად მათ ქმედითი ღონისძიებები არ განუხორციელებიათ.

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ შპს „ილი ჯგუფი" პენიტენციურ დაწესებულებებში საკვების მიწოდების სერვისს ახორციელებს კომპანიასა და სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს შორის გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ 2019 წლის 27 ნოემბრის № 11/66 და 2023 წლის 11 იანვრის № 01/26 ხელშეკრულებების საფუძველზე და ამავე ხელშეკრულებების 8.1.15 პუნქტის თანახმად, შპს „ილი ჯგუფს“ ევალება კვებითი მომსახურების გაწევისას უზრუნველყოს: თითოეულ პენიტენციურ დაწესებულებაში (მათ შორის N2 პენიტენციურ დაწესებულებაში) მინიმუმ 5 ბრალდებულის/მსჯავრდებულის დასაქმება (დასასაქმებელ პირთა კანდიდატურები წინასწარ უნდა შეათანხმოს სპეციალურ პენიტენციურ სამსახურთან), დასაქმებული ბრალდებულის/მსჯავრდებულისთვის თვეში არანაკლებ 600 ლარის ოდენობით შრომის ანაზღაურება, დასაქმებული ბრალდებულებისთვის/მსჯავრდებულებისთვის ჩვეულებრივი პირობები გონივრული მისადაგების პრინციპის დაცვით (მათ შორის, დასაქმებულთა კვალიფიკაციაზე და სხვა შესაძლებლობის განვითარებაზე ზრუნვა და სხვ.). საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა 2024 წლის 1 ნოემბრის N2024/6000 წერილით სპეციალური პენიტენციური სამსახურიდან გამოითხოვა შემდეგი ინფორმაცია:რა მექანიზმები გააჩნდა სამსახურს პენიტენციურ დაწესებულებებში (მათ შორის N2 პენიტენციურ დაწესებულებაში) მოქმედ კერძო საწარმოებში დასაქმებული მსჯავრდებულების/ბრალდებულების შრომითი უფლებების დაცვის ზედამხედველობის განსხორციელებლად; პენიტენციური დაწესებულებები აღრიცხავდნენ თუ არა მსჯავრდებულის/ ბრალდებულის სამუშაო დროის დაწყებასა და დასრულებას, აკონტროლებდნენ თუ არა მსჯავრდებულის მიერ გაწეული შრომის სანაცვლოდ ანაზღაურების მიღების საკითხს, შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვას და ა.შ.); რა პერიოდულობით ხორციელდებოდა პენიტენციური დაწესებულებების ტერიტორიებზე მოქმედ კერძო საწარმოებში დასაქმებულ მსჯავრდებულთა/ბრალდებულთა შრომის უფლებების მონიტორინგი (მათ შორის როდის განახორციელდა ამგვარი საზედამხედველო ღონისძიება N2 პენიტენციურ დაწესებულებაში); იმ შემთხვევაში თუ სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს არ გააჩნდა რაიმე სახის მექანიზმი პენიტენციური დაწესებულებების ტერიტორიებზე მოქმედ კერძო საწარმოებში დასაქმებული მსჯავრდებულების/ბრალდებულების შრომითი უფლებების ზედამხედველობის განსახორციელებლად და ამგვარი საზედამხედველო ღონისძიება არ განუხორციელებია, სამსახურს ეთხოვა განემარტა ამის მიზეზი და საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისთვის ეცნობებინა, სპეციალური პენიტენციური დაწესებულებების ტერიტორიაზე მოქმედ კერძო საწარმოებში დასაქმებულ ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა შრომითი უფლებების დაცვის მიზნით შესაბამისი ინსპექტირების ჩასატარებლად სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს ან მის დაქვემდებარებაში მოქმედ რომელიმე დაწესებულებას მიუმართავს თუ არა სსიპ შრომის ინსპექციის სამსახურისთვის.

სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს 2024 წლის 12 დეკემბრის N371705/01 წერილით აცნობა, რომ სამსახურსა და შპს „ილი ჯგუფს" შორის გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ 2019 წლის 27 ნოემბრის № 11/66 და 2023 წლის 11 იანვრის № 01/26 ხელშეკრულებებთან დაკავშირებით, პენიტენციურ დაწესებულებებში კვებითი მომსახურების და არა ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა შრომითი ურთიერთობების მონიტორინგს, ახორციელებს სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერელური დირექტორის 2023 წლის 22 მარტის № 5165 ბრძანებით დამტკიცებული კომისია, რომლის ვალდებულებაა საკვები პროდუქტებისა და მზა კერძების შემოწმება, მოქმედ სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით. **შესაბამისად, სამსახური არ ახორციელებს დაწესებულებების ტერიტორიებზე მოქმედ კვებით და საცხობ საწარმოებში დასაქმებულ მსჯავრდებულთა/ ბრალდებულთა შრომითი ხელშეკრულების მონიტორინგს.** ამავდროულად სპეციალური პენიტენციური სამსახური განმარტავს, რომ **N2 პენიტენციურ დაწესებულებაში უზრუნველყოფილია მსჯავრდებულის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მაქსიმალურად უსაფრთხო სამუშაო გარემო და დაცულია დაწესებულების დებულებით დადგენილი მოთხოვნები** (სხვა დაწესებულებებში არსებულ მდგომარეობაზე

სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისთვის არ მოუწოდებია ინფორმაცია). რაც შეეხებოდა ბრალდებულის/მსჯავრდებულის სამუშაო გრაფიკს, სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა მიუთითა, რომ პენიტენციური დაწესებულების ტერიტორიაზე კერძო საწარმოში დასაქმებული მსჯავრდებულების სამუშაო გრაფიკთან დაკავშირებული საკითხი წარმოადგენდა ფიზიკურ პირსა და კერძო საწარმოს შორის არსებული შრომითი ურთიერთობიდან გამომდინარე ურთიერთშეთანხმების საგანს. 2024 წლის 12 დეკემბრის N371705/01 **საპასუხო კორესპონდენციაში ადმინისტრაციულმა ორგანომ ასევე აღნიშნა, რომ N2 პენიტენციურ დაწესებულებისთვის მსჯავრდებულ არ მიუმართავს შრომითი უფლებების დაცვის მიზნით შესაბამისი ინსპექტირების ჩატარების მოთხოვნით და შესაბამისად, დაწესებულებას საკითხის მოსაკვლევად არ მიუმართავს სსიპ შრომის ინსპექციის სამსახურისთვის.**

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ირკვევა, რომ სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს არ გააჩნია რაიმე სახის საზედამხედველო მექანიზმი, რითაც პენიტენციური დაწესებულების ტერიტორიაზე მოქმედ კერძო საწარმოებში დასაქმებული ბრალდებულების/მსჯავრდებულების მონიტორინგს განახორციელებდა, მათ შორის კერძო საწარმოს ტერიტორიაზე დასაქმებული ბრალდებულების/მსჯავრდებულების სამუშაო დროის აღრიცხვას, რაც შესაძლოა დაკავშირებული იყოს პატიმრის საკნის დატოვების დროის ხანგრძლივობასთან.

სამართლებრივი საფუძვლები:

შრომის უფლება ადამიანის ფუნდამენტურ უფლებას წარმოადგენს და ამ უფლების დაცვა ნებისმიერ დემოკრატიულ სახელმწიფოში განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია. შრომასთან დაკავშირებული უფლებები აღიარებული და დაცულია როგორც ქვეყნის კონსტიტუციით,[5] ისე საერთაშორისო ხელშეკრულებებით[6], ასევე საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს/ შრომის კოდექსით“ და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, კონსტიტუციის 30-ე მუხლით (ახალი რედაქციით 26-ე მუხლი) დაცულია არა მხოლოდ უფლება აირჩიო სამუშაო, არამედ ასევე უფლება განახორციელო, შეინარჩუნო/დათმო ეს სამუშაო და დაცული იყო უმუშევრობისაგან.

მსჯავრდებულთა დასაქმებასთან დაკავშირებული საკითხები მოწესრიგებულია პენიტენციური კოდექსით, რომლის 127-ე მუხლის თანახმად, ბრალდებული/მსჯავრდებული შეიძლება დასაქმდეს პენიტენციური დაწესებულების ტერიტორიაზე არსებულ არასახელმწიფო დაწესებულებაში (ნაწ.3). შესასრულებელი სამუშაოსთვის ბრალდებული/მსჯავრდებული იღებს ხელფასს საქართველოს შრომის კანონმდებლობის შესაბამისად და მას უფლება აქვს მიღებული ანაზღაურება განკარგოს თავისი შეხედულებისამებრ (ნაწ.6). პენიტენციური დაწესებულების ტერიტორიაზე არსებულ საწარმოში როგორც წესი დასაქმებული უნდა იყოს მხოლოდ ბრალდებული/მსჯავრდებული (მუხლი 128, ნაწ.2). მსჯავრდებული საწარმოში საქმდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, პენიტენციური სამსახურის ორგანიზაციული მონაწილეობით (მუხლი 128, ნაწ. 3). საწარმოსა და პენიტენციურ სამსახურს შორის ფორმდება ხელშეკრულება, რომლითაც საწარმო იღებს ვალდებულებას, რომ ის საქმიანობას განახორციელებს პენიტენციური დაწესებულების დებულებით დადგენილი წესის შესაბამისად (მუხლი 128, ნაწ.6). პენიტენციური დაწესებულება და დამსაქმებელი ვალდებული არიან ბრალდებულს/მსჯავრდებულს შეუქმნან სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო შრომის პირობები. ბრალდებული/ მსჯავრდებული სამუშაო დროის ხანგრძლივობა, შრომის, უსაფრთხოებისა და საწარმოში სანიტარული ნორმების დაცვის წესები განისაზღვრება საქართველოს შრომის კანონმდებლობის შესაბამისად (მუხლი 129, ნაწ. 1). ბრალდებულის/მსჯავრდებულის ზეგანაკვეთური მუშაობა, აგრეთვე უქმე დღეებში მუშაობა დასაშვებია მხოლოდ მისი თანხმობით. ამასთანავე, სამუშაო დროის ხანგრძლივობა დღეში არ უნდა აღემატებოდეს 8 საათს (მუხლი 129, ნაწ. 2).

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ჩვეულებრივ პირობებში შრომით ურთიერთბისგან განსხვავებით პენიტენციურ დაწესებულების ტერიტორიაზე მდებარე კერძო საწარმოში დასაქმებული მსჯავრდებულსა და დამსაქმებელს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება სამი მხარის ჩართულობას მოიაზრებს. დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის შრომითი ურთიერთობა ვერ შედგება პენიტენციური დაწესებულების ორგანიზაციული მონაწილეობის გარეშე, ამავდროულად, პენიტენციური დაწესებულების დებულებით გათვალისწინებული წესების გარდა შპს „ილი ჯგუფსა" და [illegible]ს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების თანახმად (5.5 პუნქტი) სპეციალური პენიტენციური სამსახურის მიერ დამსაქმებელთან გაგზავნილი წერილობითი მიმართვა ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ ავტომატურად იწვევდა აღნიშნული ხელშეკრულების მოქმედებას და დამსაქმებელს ბრალდებულის/ მსჯავრდებულის დამატებითი შეტყობინების ვალდებულება არ წარმოეშობოდა. შრომითი ხელშეკრულების მოცემული პირობაც განასხვავებს აღნიშნულ სამართალურთიერთობას სხვა შრომით-სამართლებრივი ურთიერთობებისგან.

უნდა აღინიშნოს, რომ შპს „ილი ჯგუფი" ახორციელებს სპეციალური პენიტენციური სამსახურის კანონით გათვალისწინებულ საქმიანობას[7] (პატიმართა კვებითი მომსახურება). **უდავო გარემოებას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ შპს „ილი ჯუფი" სისტემატიურად არღვევდა დასაქმებულის შრომით უფლებებს, მათ შორის დასაქმებული მუშაობდა ზეგანაკვეთურად რაც კავშირშია ბრალდებულის/მსჯავრდებულის საკნის დატოვების პერიოდთან და რომლის კონტროლსაც ახორციელებს პენიტენციური დაწესებულება.** შესაბამისად, დასაქმებული ბრალდებულის/მსჯავრდებულის აღქმა, რომ მისი შრომითი უფლებების

დარღვევის შესახებ ცნობილი იყო N2 პენიტენციური დაწესებულებისთვის საფუძველს მოკლებული არ არის. მნიშვნელოვანია ყურადღება მიექცეს იმ გარემოებას, რომ პენიტენციური დაწესებულების ტერიტორიაზე მოქმედ კერძო საწარმოში დასაქმებულ ბრალდებულს/მსჯავრდებულს ჩვეულებრივ პირობებში მყოფი დასაქმებული პირებისგან განსხვავებით არ აქვს დასაქმების დიდი არჩევანი, საჩივრის დაფიქსირების შემთხვევაში, შესაძლოა გააჩნდეს სამსახურის დაკარგვის შიში, არ იყოს ინფორმირებული შრომით უფლებებზე საზედამხედველო ინსტიტუტის საქმიანობის პრინციპების, მათ შორის კონფიდენციალურობის დაცვის პრინციპის შესახებ. საქართველოს სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ საკანონმდებლო რეგულირების მიღმა, **სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა გარკვეულწილად უნდა უზუნველყოს პენიტენციური დაწესებულების ტერიტორიაზე მოქმედ კერძო საწარმოებში დასაქმებული ბრალდებულების/მსჯავრდებულების შრომითი უფლებების მონიტორინგი, რაც შესაძლოა გამოიხატოს ყოველგვარი საჩივრის გარეშე გარკვეული პერიოდულობით შრომითი ინსპექტირების მოთხოვნაში, ასევე, შესაძლოა თავად უზრუნველყოს პენიტენციური დაწესებულების ტერიტორიაზე დასაქმებულ ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სამუშაო დროის სათანადოდ აღრიცხვა, რაც სამსახურის მხრიდან განსაკუთრებულ ძალისხმევას არ საჭიროებს.[8] დასაქმებული ბრალდებულის/მსჯავრდებულის სამუშაო დროის აღრიცხვა გარდა იმისა, რომ დაკავშირებულია შრომის სამართლიან პირობებთან, ასევე პირდაპირ უკავშირდება სათანადო ანაზღაურების მიღების უფლებასაც (მათ შორის ზეგანაკვეთურად შესრულებული სამუშაოს ანაზღაურების მიღების უფლებას) და აღნიშნულის ეფექტური კონტროლი არ უნდა იყოს დამოკიდებული მხოლოდ დასაქმებული ბრალდებულის/მსჯავრდებულის საჩივრის დაფიქსირებაზე.[9]**

დასკვნა:

ყოველივე ზემოაღნიშნული ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებებიდან გამომდინარე, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, მოგმართავთ წინადადებით:

პენიტენციური დაწესებულებების ტერიტორიაზე მოქმედ კერძო საწარმოებში დასაქმებულ ბრალდებულთა/ მსჯავრდებულთა შრომითი უფლებების სათანადო დაცვის მიზნით შეიმუშაოთ მონიტორინგის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს მათი შრომითი უფლებების ეფექტიან დაცვას (მათ შორის უზრუნველყოფს სამუშაო დროის ზუსტ აღრიცხვას), რომ დასაქმებული ბრალდებულის/მსჯავრდებულის შრომის უფლების დარღვევის ფაქტის გამოვლენა დამოკიდებული არ იყოს მხოლოდ დასაქმებული პირის საჩივარზე.

მოცემულ საკითხთან დაკავშირებით გატარებული ღონისძიებების თაობაზე, გთხოვთ, გვაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

პატივისცემით,

---

[1] , 10.12.2024 წ. N8532/2024, 14.11.2024 წ. N7618/2024, 31.10.2024 წ. N7115/2024, 03.10.2024 წ. N6242/2024, 02.10.2024 წ. N6188/2024 განცხადებები.
[2] დეტალური ინფორმაცია ასახულია საქართველოს სახალხო დამცველის 2024 წლის 9 სექტემბრის N 2024/4355 რეკომენდაციაში.
[3] იქვე.
[4] სსიპ შრომის ინსპექციის სამსახურის 2024 წლის 28 მაისის N LIO 8 24 00573098 წერილი.
[5] საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლი.
[6] ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი, ევროპის სოციალური ქარტია და სხვ.
[7] პენიტენციური კოდექსი პენიტენციურ დაწესებულებას უწესებს ვალდებულებას ბრალდებული/მსჯავრდებული ყოველდღიურად უზრუნველყოს არანაკლებ სამჯერადი კვებით (მუხლი 111, ნაწ. მე-3).
[8] იხ. შრომითი უფლებები (საერთაშორისო სტანდარტების და პრაქტიკის მიმოხილვა)
[9] სოციალური უფლებების ევროპული კომიტეტის განმარტებით, პენიტენციურ დაწესებულებაში შრომა მკაცრად უნდა იყოს რეგლამენტირებული განსაკუთრებით, იმ შემთხვევაში, როცა პატიმრები კერძო კომპანიებისთვის ასრულებენ სამუშაოს. იხ. DIGEST OF THE CASE LAW OF THE EUROPEAN COMMITTEE OF SOCIAL RIGHTS https://rm.coe.int/digest-ecsr-prems-106522-web-en/1680a95dbd გვ. 52.

საქართველოს სახალხო დამცველი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ლევან იოსელიანი